



ამდინ, ნათვება!

ჩემი საქართველო



№17, აპრილი, 2014
 საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ღიადრობა სურთ და პროფესიონალიზმს ეხსრფვიან!



ღმერთმა დღლოცოს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

ჩილაძე
სერგეი
კი-ლესკანენი

გარი ჩაფიკა: შრომითის ცრიზონა



საქართველო ისეთი ძრყანა იქნება, ტომტ ტაქოზსაც აღვტდით

გარი ჩაფიკა — საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი. საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის რექტორი, ძ. რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი. უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა, სხვადასხვა დროს მსახურობდა სანკტ-პეტერბურგში, ჩელიაბინსკში, კიევიში, შემდეგ კი — საქართველოში, საპასუხისმგებლო და

მომეკლავურულ თანამდებობებზე. ამჟამად არის შურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, პროფესორი, საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის რუსთავისა და ქვემო ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალღაა“-ს აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის საკადრო პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, „ფაზისი“-ს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ძ. ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკისა და მთავრობის ინსტიტუტი გარი ჩაფიკის სახელობისაა. ასევე არის საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ „ჩრდილდენს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს იაკოვ გომეზაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს გალაკტიონ ტაბიკის სახელობის ლიტერატურთა კავშირის თავმჯდომარე, უკრაინის საერთაშორისო რეგიონალური აკადემიის ძ. რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი, ავტორია 200 — მდე მხატვრულ-ლიტერატურული ნიგნისა და 90 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიცთარგმნილიდაგამოცემულიაგრაველენაზე. არის უკრაინულ-ქართული ლექსიკონისსამტომეული პირველი შემდგენელი, პოლონურ-ქართული, ქართულ-პოლონური, უნგრულ-ქართული ფინურ-ქართული, შვედურ-ქართული, ჩეხურ-ქართული, უოლანდიურ-ქართული და რუმინულ-ქართული ლექსიკონების პირველი ავტორი, რომელთაც დღემდე მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნიათ. მისი კვლევის სფეროებია: პედაგოგია და პედაგოგიკის ისტორია, მოზარდთა ფსიქოლოგია და ფილოსოფიური აზროვნება, პოლიტოლოგია და სამყაროს გარდაქმნის ახალი მოდელი, პოლიტიკა და პიროვნება, პლანეტისტიკა და პოლიტიკური თეორიები, მედიცინა და გიოეთიკა, კულტურა და აზროვნება, შურნალისტიკა და პიარი, აღმართმცოდნეობა და პერსონალთა მართვა, პოლიტიკური ფილოსოფია და კატაკლიზმები XXI საუკუნეში. მიღებული აქვს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა ჯილდოები, მათ შორის: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიკის, დავით გურამიშვილის სახელობის მედლები და პრემიები, „საქართველო-უკრაინის მეგობრობის“, „საერთაშორისო მეცნიერული მიღწევებისათვის“, „საერთაშორისო მეცნიერული დამსახურებისათვის“ — მედლები. არის ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოს — იაკოვ გომეზაშვილის სახელობის ორგზის მედალოსანი; ასევე არის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ოქროს ჯვრის ორდენის, წმინდა ანას სახელობის პირველი ხარისხის ოქროს ორდენის, „განათლების განვითარებისათვის“ ოქროს ორდენის, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლების ოქროს ორდენის, „უკრაინის პატრიოტის“ საპატიო წოდებისა და ოქროს ვარსკვლავის ორდენის, მსოფლიო მეცნიერების ფუძემდებლის, პლატონის ოქროს ორდენისა და ღირსების ორდენის კავალარი.



საქართველო ისეთი ძვრანა იქნება, ტიპიკ თათარსაც აღვზრდით

(დასაწყისი გვ.1)

- ხშირად მეკითხებიან, თუ როგორი ქვეყანა იქნება საქართველო, პირუთვნელად გეტყვით, ისეთი როგორ თაობებსაც აღვზრდით!- ესე იგი ქვეყნის გადარჩენის ბერკეტი ჩვენს ხელშია, პედაგოგების ხელში და ამიტომ განსაკუთრებული რუდუნებით, პიროვნული ღირსებით უნდა მოვიხადოთ საკუთარი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ამ ვალის მოხდა კი, მთელი შენი შესაძლებლობების მაქსიმალურ სრულყოფას, სრულფასოვნებასა და დაუღალავი ენერჯის ლოკომოტივად გადაქცევას ნიშნავს, დიახ, ასეთია პედაგოგიური აზროვნება, პედაგოგთა ხვედრი, რომელიც ჭეშმარიტად, მთელი პასუხისმგებლობით აქვთ გათავისებულნი, ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის თითოეულ თანამშრომელს, ინსტიტუტისა, რომელიც არაფორმალური პროფესიული განათლების ჭეშმარიტ ფლაგმანად იქცა, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში აქვს გახსნილი თავისი წარმომადგენლობა და ისინი, საკუთარი ხელნერის სასწავლო დაწესებულებათა რაკურსში განიხილებიან! ჩვენთვის არაფორმალური პროფესიული განათლება, სრულებითაც არ ნიშნავს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის იგნორირებას, პირიქით, იგი ერთიან ეროვნულ სასწავლო-სააღმზრდელო ბადაში მოიაზრება! ამიტომაც მჭიდრო კავშირი, ურთიერთთანამშრომლობა გვაქვს როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე ყველა იმ უწყებასთან რომლებიც ურთიერთკავშირში არიან ჩვენთან ფუნქციონირებად სპეციალობებთან!

მოგეხსენებათ, რომ სასწავლო პროცესი შეუქცევადია! ამიტომაცაა უმაღლეს დონეზე აგებული თითოეული სალექციო კურსი, დიახ, იქ სადაც დისციპლინა მოისუსტება, სწავლის ხარისხზე საუბარი ზედმეტია! -არადა ჩვენი ორიენტაცია მიმართულია დაბალი გადასახადებიდან-უმალეს შედეგებზე! ჩვენს ყველა წარმომადგენლობაში სასწავლო გადასახადი წელიწადში მხოლოდ 500-ლარი (თბილისში 700ლარი)-ეს მაშინ როცა კურსდამთავრებულები თვეში გაცილებით მეტ ხელფასს იღებენ! უფრო მეტიც, შეღავათებით სარგებლობენ, - არა ცოდნაში, არამედ ფინანსებში(გარკვეული რაოდენ-

ობა, განსაზღვრული რექტორატის მიერ) ლტოლვილები, საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლნი, აღნიშნულ საბრძოლო ოპერაციებში დაღუპულთა ოჯახის წევრები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფნი, მრავალშვილიანები და სხვა, აქვე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წარჩინებული სტუდენტები არა მარტო თავისუფლდებიან გადასახადიდან, არამედ ყოველთვიურ 125-ლარიან სტიპენდიასაც იღებენ! სწავლება სამწლიანია და კურსდამთავრებულებზე სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სამ ენოვანი (ქართულ-უკრაინულ-ინგლისური) ოქროს ბეჭდი-

ასბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, - ამ მიზნით, რუსთავის აკადემიურ ქალაქში კიდევ ერთი სიახლეა, აქ ახლახანს დაფუძნებული საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისათვის ემზადება!

დიახ, ყველაფერი ერთ სივრცეში! განათლება ვერ ეგუება ჩარჩოებს, ამის ნათელი დასტური სწორედ, ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით რუსთავში შექმნილი აკადემიური ქალაქია, სადაც ბაგა-ბალიდან დაწყებული - დოქტორანტურით

და თანამედროვეობას მორგებული ყველა სპეციალობით ჩვენთან ფუნქციონირებს ბაკალავრიატის, სპეციალისტის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი!

ასევე რუდუნებით დავინყეთ არაფორმალური პროფესიული სასწავლო ცენტრების შექმნა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, თავიდანვე ცნობილი გახლდათ, რომ აუდიტორული სისტემა ბევრს ვერაფერს მოგვცემდა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულთან ერთად ჩვენი სტუდენტები პირველივე კურსიდან გადიან პრაქტიკებს სპეციალობათა მიხედვით შესაბამის სტრუქტურებში, მაინც, რუსთავის აკადემიურ ქალაქში გადაწყვიტეთ შეგვექმნა აფთიაქი, პოლიკლინიკა სამედიცინო პერსონალითა და ტექნიკის მთელი ბირთვით. ინტერნეტტელევიზია AcademTV-info, აკადემიური სტამბა, რედაქცია, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მუზეუმი, კაფე-ბარი, „სილაჟვარდე“, იურიდიული კლინიკა, დაცვის სამსახურისა და დაცვის სისტემის შემსწავლელი კაბინეტი, მიზანში სროლის სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, პანტომიმის თეატრი, სადისკუსიო კლუბი, სტუდენტთა ლიტერატურული თეატრი, ქორეოგრაფიული სტუდია, ბიბლიოთეკა ყველა საჭირო წიგნთა და მათივე ელექტრონული ვერსიებით, ბანკის ოპერატორთა, ფარმაცევტთა, ჟურნალისტთა გადამზადების კურსები, ასევე მასაჟის, კულინარიის, სტილისტის, მზარეულთა და მაგიდის დიზაინერთა მომზადების კურსები! მაღალ დონეზე ფუნქციონირებს უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული), ბუღალტერთა და აუდიტორთა კურსები, ამუშავების პროცესშია სამედიცინო სანარმო „აკადემფარმი“, მალე გაიხსნება საერთო საცხოვრებელი ჩვენი სტუდენტებისთვის.

სწორედ მომავალი თაობების აღზრდისადმი განსაკუთრებული რუდუნებისათვის ჩვენი სასწავლებელი დაჯილდოებულია მსოფლიო მეცნიერების უმაღლესი რანგის ჯილდოებით, მიღებული გვაქვს „EUCEN“-ის ხარისხის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაცია! მიღწეულს არასოდეს ვჯერდებით! - რამეთუ საქართველო, ისეთი ქვეყანა, იქნება, როგორ თაობებსაც აღვზრდით!



ანი სერთიფიკატი გაიცემა!

აქვე, ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება: -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 03-თებერვლის №8/6 ბრძანების საფუძველზე (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციო კოდი 430.030.000.22.022.016.050) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ, ნათქვამია, რომ აღიარება დასაშვებია პირველი-მესამე საფეხურის პროფესიებისათვის, ამდენად, ჩვენს მიერ გაცემული სერთიფიკატით კომპიუტერული ტექნოლოგიების, ფოტოკრიმინალისტიკის, დაცვა-პატრულირებისა და ექთნის თანამშრომლის კურსდამთავრებულნი შესაბამისად მესამე საფეხურის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემომწმების შედეგად მიიღებენ ქართულ სახელმწიფო დიპლომს! - საყურადღებოა, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შე-

დამთავრებული განათლების ყველა საფეხურია გახსნილი! - ბაგა-ბალი კი... თვითმფრინავში, „იაკ-40“-ის სალონი გაფხენით და არამარტო ამ ტექნიკური მხარით, არამედ აღზრდის ახლებური მეთოდების გამოყენებითაც მოვექეცით მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ყურადღების ცენტრში!

გვაქვს საშუალო სკოლა X-XI-XII-კლასებით, საიდანაც გასულ სასწავლო წელს სამი მედალოსანი გამოეშვიტ, ვმუშაობთ პირველი-მეცხრე კლასის სკოლის გახსნაზე, რომლის ახალი შენობაც ექსპულატაციაში მიმდინარე წელს შევა, და მაინც, როგორი უნდა იყოს სკოლა, საიდანაც ცოდნის დაუფლების გარეშე წასვლის სურვილი ყველა მოსწავლეს გაუქრება?! -შეკითხვა რომელზედაც პასუხი საუკუნეებია აინტერესებს საზოგადოებას, მომავლის სკოლის გასაღები ჩვენს ხელშია! -ჩვენ ვიცით როგორი იდეა უნდა შევთავაზოთ თანამედროვე ახალგაზრდობას!

უკრაინის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემიის ეგიდითა

ჩვენი გაზეთი „ჩემი საქართველო“ საქართველოს გაზეთი „საქართველოს მიღმა საქართველოსთან“ ერთად ვრცელდება: — ამერიკის შვეიცარიულ შტატებში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, კანადაში, ისრაელში, საბერძნეთში, უკრაინაში, რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში, ირანში, სომხეთში. აზერბაიჯანში, ინდოეთში, ესპანეთში

მისამართი: 0182 ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა 7; ტელ: 227-89-00; 227-89-01; 227-89-02; (0341) 22-25-00; 25-37-00

OUR NEWSPAPER "CHEMI SAKARTVELO" IS SPREAD WITH THE INTERNATIONAL NEWSPAPER "SAQARTVELOS MIGHMA SAQARETVELOSTAN" IN THE UNITED STATES OF AMERICA. AUSTRIA, BELGIUM, HOLLAND, GERMANY, CANADA, IZRAEL, AZERBAIJAN, ARMENIA, INDIA, SPAIN.

ADDRESS: 0281, Javakheti street 7; Tbilisi phone: +995 (32) 227-89-00; 227-89-01; 227-89-02; +995 (341) 22-25-00; 25-37-00

Web-site: www.chemisakartvelo.ge; academtv.info

ISSN 2298-0369

თბილისი

ქ.თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7-ეს მისამართი უკვე დიდი ხანია, თითქმის ერთ-ათეულ წელზე მეტია, რაც ცოდნის სამჭედლოში იზიდავს ახალგაზრდობას, აქ წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო სტატუსის მქონე ქ.თბილისის ჰუმანიტარული კოლეჯი "ჩირალდანი", შემდეგ საერო უნივერსიტეტი "გაენათი" და ახლა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის თბილისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრია, სადაც სწავლა უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს და დღევანდელ კონკურენტუნარიანობის პერიოდში, ისანი-სამგორის რაიონის ერთ-ერთი წარმატებული სასწავლებელია. სასწავლო ცენტრს ადგილზე ნიჭიერი პედაგოგი დავით ბერიძე ხელმძღვანელობს, იგი განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსია და ახალი სასწავლო წლის ახალ მიღებებთან დაკავშირებით მართლაც და უნიკალურ პროექტებს სთავაზობს აბიტურიენტებს.



ჩვენსთვის

ჩვენი ბავშვი „ЯК 40“-ში



სამყაროს, ახსნას ბუნების მოვლენები, გამართოს მეტყველება და შეიძინოს ბევრი მეგობარი. შემეცნებით თამაშებით აქ პატარები საინტერესოდ და ხალისით სწავლობენ მათემატიკასა და უცხო ენებს.

ჩვენი ბავშვის აღსაზრდელებს ხუმრობით პატარა „პილოტებს“ ვეძახით.

როგორც ცნობილია, ბავშვი თვითმფრინავ „ЯК 40“-ში დაარსდა და დღესაც უპრეცედენტო მსოფლიოში. ის დიდი სტიმული და ხალისია ყოველი იმ პატარისთვის, რომელიც ყოველ დღით სიხარულით მოდის ჩვენთან, რათა ისწავლოს, გაეცნოს გარე



აზრის გამოთქმის და ქცევის თავისუფლება ჩვენს ბავშვებს ჩვეულებრივი ამბავია, აქ არ იბლოკება არცეთი პატარა აზრი და შეხედულება, აქ მათ სრული კომფორტი აქვთ შექმნილი მთელი დღის განმავლობაში და თავს საკმაოდ ლაღად გრძნობენ.

გარდა სწავლისა როგორც მოგახსენებთ, პატარა „პილოტები“ გართობას და ფანტაზიის გაღვივებას „ЯК 40“-ში აგრძელებენ. ისინი მფრინავის კაბინაში მოკალათდებიან და ყველა იმ სიტუაციას განიხილავენ, რომელიც ჩემდა გასაოცრად რეალურ ცხოვრებაში ალბათ ბევრ მათგანს არც უნახავს. ის, რომ მიფრინავენ და უსაფრთხოების

ღვედები უნდა შეიკრან, ის, რომ აფრენისას სიმშვიდე უნდა შეინარჩუნონ და მათი ბავშვური ფანტაზია ამ დროს სრულ ზენიტშია.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეს მაინც ბავშვია და ალბათ ბევრ თქვენგანს არც თუ ისე სასიამოვნო განცდები აქვს ბავშვთან დაკავშირებით, მაგრამ ცდებით. ეს XXI საუკუნის ბავშვია და აქ სხვანაირად დამუხტული სიტუაციაა, სადაც არც ერთი ბავშვი, არც ერთი წუთი არ ფიქრობს, რომ ის არის იმ საბავშვო ბავშვში, რომელიც ჩვენს წინა თაობებს აქვს მეხსიერებაში.

„ЯК 40“ და მისი ეკიპაჟი მუდამ მზად არის გემსახუროთ და შეგიქმნათ საფრენი ამინდი და განწყობა თქვენ და თქვენს შვილებს. მამ ასე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს მეგობრულ ბორტზე - გვეპატიჟება ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქის „საბავშვო ბავშვი თვითმფრინავში.“ - პედაგოგი ინგა ბოსიკოვა.

ჩვენსთვის

ჩვენი სკოლის სიამაყე

ურჩა მაისურაძე რუსთავში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდაა. სპორტული წრთვანა პატარაობიდანვე დაიწყო. კრივი სპორტის ურთულესი სახეობაა და უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს მკაცრ რეჟიმთან ერთად, მაგრამ უჩას მიზანი არჩეული ჰქონდა და აქვს.



მას თავის მწვრთნელთან ერთად არასოდეს აკმაყოფილებდა საშუალო დონე. იგი ყველა ასაკში პირველობისათვის იბრძოდა. სპორტმენისათვის ეს აუცილებელი თვისება გახდა საბავშვო მისი არა ერთი გამარჯვებისა, საქართველოში და საქართველოს გარეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი მის ცხოვრებაში სულ ახლახანს იყო. საქართველოს ნაკრების წევრმა კრივში ურჩა მაისურაძემ მონაწილეობა მიიღო ლიტვაში გამართულ კრივის საერთაშორისო ტურნირში და წარმატებასაც მიაღწია. საქართველოში ორგზის ჩემპიონი კრივში, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირის მონაწილე და მრავალ სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული 17 წლის ურჩა მაისურაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პერსპექტიული სპორტსმენია. იგი იბრძვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

ჩვენი სკოლა ინტენსიურად გულშემატკივრობს მას და იმედოვნებს რომ ურჩა სანადვლს მუაღწევს -თქვა რედაქციასთან საუბრისას სკოლის დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა როზა გულისაბედაშვილმა.

ჩვენსთვის

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ეგიდით შექმნილი ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქი, თამამად რომ ვთქვათ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთ წარმატებულ საგანმანათლებლო პროექტად შეიძლება ჩაითვალოს. აქედან, ორი წლის ასაკში, საბავშვო ბავშვში შემოსული აღსაზრდელი, სურვილისამებრ, უკვე ოცდახუთი წლის ასაკში შესაძლოა მეცნიერებათა დოქტორი გავიდეს! აკადემიურ ქალაქში, რომ ყოველდღიური უამრავი სიახლეა, ეს ახალი მართლაც არაა ადგილობრივებისათვის, ამ დღეებში კი... ქ. რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრმა ახალმოსახლეობა იზეიმა და ბინა მეშვიდე კორპუსში დაიდო, თანამედროვეობას მორგებული კაბინეტ-ლაბორატორიები, უმაღლესი დონის ევრორემონტი, რბილი საოფისე ინვენტარი, ყველა სახის საჭირო სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უფრო შინაარსიანსა და ნაყოფიერს ხდის.

-სალექციო ცხრილით განსაზღვრულ ყველა მიმართულებაზე უმაღლესი დონის პედაგოგიური სპექტრით დაკომპლექტებული ჯგუფებია, ამიტომაც მიჭირს მოწინავე თანამშრომელთა გამოყოფა, სტუდენტები კი: ნინო წინამძღვრიშვილი, ნინო დოლიძე, თათია მელიქიშვილი, ზინაიდა გვენცაძე, ნინო სეფიაშვილი, სოფიკო დადვანი, ნათია სადუნიშვილი, მაია შეყლაშვილი, მარიამ ბადუაშვილი, გიორგი გურაშვილი, მარიამ პეტროვი, ნინო ზუბაშვილი, შალვა პავლიაშვილი, ლიკა შინგაზრდილოვი, თამარ ბადუაშვილი, შორენა ჯავახიშვილი, ლუიზა გასპარიანი, დავით გიგაური, ილია ტულუში, ევგენია სოკოლოვა, დინა ხოხონიშვილი, ნანა არსენიძე, თამარ მეტრეველი, მადონა ბლიაძე, ვალერი ხარძიანი სწავლასა და საზოგადოებრივ დატვირთვაში მონაწილეობას არავის უთმობენ -აღნიშნავს ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ქალბატონი ქეთევან ცისკარიშვილი და ახალი კონტიგენტის მიღებასთან მიმართებაში გვამცნობს, რომ აბიტურიენტთა საბუთების მიღება ანშლავით მიმდინარეობს.

ოზურგეთი

* * *

ქალაქ ოზურგეთის სასწავლო ცენტრი ერთ-ერთი მონინავეა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებს შორის. აქ არაერთი საინტერესო ღონისძიება ტარდება მონინავე პედაგოგებისა თუ სტუდენტების თაოსნობითა და მონაწილეობით. აქაურ სტუდენტებს არასოდეს დაავიწყდებათ ახალგაზრდა შემოქმედთა საღამო, რომლის ადრესატებიც გვანცა ლომსაძე, ნანული სიხარულიძე და ირაკლი ტულუში გახლდათ. ეს სტუდენტები თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე. არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ირაკლი ტულუშის წარმატება სპორტშიც. დიახ, იგი სპორტსმენია და სწავლას, პრომას, საზოგადოებრივ დატვირთვას ყველაფერს ერთად ღირსეულად ართმევს თავს. გვყავს მონინავე სტუდენტები: ნათია ორაგველიძე, ვერიკო კუჭუხიძე, ხატია ხარაბაძე, ჭემმარიტად წარმატებული პედაგოგები: ნანული გალოგრა, ცირა ჯინჭარაძე... აღნიშნავს ჩვენს სარედაქციო კოლეგასთან საუბარში ქ.ოზურგეთის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქალბატონი მაკა ბრეგვაძე, - რომელიც მომავალი სასწავლო წლის დაწყებისათვის განსაკუთრებული რუდუნებით ემზადება.

ამროლოაური

* * *



საინტერესოდ და მაღალ დონეზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ქალაქ ამროლოაურის სასწავლო ცენტრში. სტუდენტები აქტიურად ემზადებიან სტუდენტთა მეცხრე სამეცნიერო კონფერენციისთვის, რომელიც მაისში უნდა ჩატარდეს. მათ ახლახანს საინტერესო ლაშქრობა მოაწყვეს: ამროლოაური-კვარაცხე-მინდარციხე-ხოტევის ციხე -ნიკორწმინდის ტაძარის მიმართულებით. ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ სასწავლო ცენტრის სტუდენტებს და პედაგოგებს.

-დაგვეგმილი გვაქვს ექსკურსია მესტიაში და ყველაფერი სასწავლო პროცესის მაღალი მაჩვენებლების სინქრონულად მიმდინარეობს, რამეთუ გვნამს, რომ სტუდენტებისათვის თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება, პედაგოგიური აზროვნების ძირითადი მიმართულებაა... აღნიშნავს სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ბატონი აკაკი ვაჩაძე. რომელიც რაჭული სიღინჯითა და სიღარბისლით გვიამბობს სასწავლო ცენტრის მიღწევებსა და სამომავლო გეგმებს.

ახალციხე

* * *

ქალაქ ახალციხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრმა წელს პირველად გაუღო კარი ახლა უკვე პირველ კურსელებს, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ისინი მონინავეობას არავის უთმობენ. საინტერესოდ მიმდინარეობს სწავლის პროცესი და პარალელურად სამზადისი მეცხრე სამეცნიერო კონფერენციისთვის. მარეხი აბულაძე, გიორგი კუპრაძე, ხატია ნარიმანიშვილი, ნინო რიბაკინი და კიდევ უამრავი მართლაც და მონინავე სტუდენტები არიან.



-დიახ, მონინავეთა ძალებით იმართება არაერთი საინტერესო საღამო სასწავლო ცენტრში, გრანდიოზული ღონისძიება გვაქვს დაგვეგმილი „დედა ენის“ დღესთან დაკავშირებით, სადაც ჩვენი სტუდენტები ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს ასრულებენ. ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი პედაგოგი მარიამ ყურმაშვილია. მასთან ერთად მინდა მაღლობა ვუთხრა ჩვენი სასწავლო ცენტრის პედაგოგიურ ბირთვს განსაკუთრებით კი მეთოდ კაბინეტის გამგეს მარეხი ყურმაშვილს, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას -აცხადებს ჩვენთან საუბარში სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ბატონი პეტრე ჩიტაშვილი და კიდევ ერთ საიდუმლოს გვიმხელს -დაგვეგმილი გვაქვს ექსკურსია თქვენთან, რუსთავის აკადემიურ ქალაქში, გვინდა სტუდენტებმა თავიანთი თვალთ იხილონ ყველა ის საოცრება, რაც აკადემიურ ქალაქში ხდება!

ქუთაისი

შარშან, პირველი კურსის დამთავრებისას, აპრილის თვეში ჩვენი სასწავლო ცენტრის დაცვა და პატრულირების სპეციალობის ჯგუფმა გაიარა პრაქტიკა ტყვიის სროლაში. სტუდენტმა მარი გენაძემ აჩვენა სანიმუშო შედეგები. ამის შემდეგ მისი პიროვნებით დაინტერესდნენ ქუთაისის ტყვიის სროლის სპორტული კლუბის სპეციალისტები და თხოვეს მარის დაეწყო ვარჯიშები უფრო დიდი, სერიოზული შედეგების მისაღწევად. ზაფხულის ვარჯიშების შემდეგ იგი ჩაირიცხა ქუთაისის ნაკრებში, რომელშიც 6 წევრია. მასში დიდ პოტენციალს ხედავენ და დიდ იმედებს ამყარებენ სპეციალისტები. წელს კი, მარტის თვეში, თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ტყვიით სროლაში. მარი გავიდა ფინალამდე. ეს მისი პირველი წარმატებაა. ის აგრძელებს ვარჯიშს და რა თქმა უნდა ველოდებით მის მიერ მიღწეულ სერიოზულ შედეგებს.



როგორც საქართველოს პირველობაზე, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც - სიამაყით გვიამბობს ქალაქ ქუთაისის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი მადონა ხუსკივაძე, რომელიც სასწავლო პროცესის ძირითად მიმართულებებზე პროფესიულ შეხედულებებსაც აყალიბებს.

თერჯოლი

* * *



ქალაქ თერჯოლის ცენტრში, აღმაშენებლის ქუჩის №3-ში, არც თუ დიდი ხნის წინ ახალი აბრა გამოჩნდა, წარწერით: -„საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.თერჯოლის სასწავლო ცენტრი“, აქაურებს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ ცოდნისადმი, რომ იტყვიან, ცოდნა სწყურიათ და სწორედ ერთ-ერთი ასეთი ცოდნის წყაროა ჩვენი სასწავლებელი, რომლის წარმომადგენლობის თერჯოლაში გახსნის იდეა, იმთავითვე აიტაცა რაიონის ნოვატორმა გამგებელმა, ბატონმა მალხაზ გურგენიძემ, მან თავის ახალგაზრდულ გუნდთან ერთად, აღნიშნული წამოწყებისადმი ზეობა გამოთქვა, აზრი იმთავითვე გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა სოფო ბუსკივაძემ, კულტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა გურამ თურქაძემ და სხვებმა... გადაწყდა, თერჯოლის სასწავლო ცენტრს სათავეში დამსახურებული პედაგოგი ეთერ

ტურავა ჩაუდგებიდა, ეთერი მასწავლებელი! -ასე იცნობენ მას მთელ რაიონში და ამ ორი სიტყვის მიმართ უდიდეს სიყვარულს და სიმპატიას გამოხატავენ მისი აღზრდილები თუ აღსაზრდელები, ქალბატონი ეთერის განსაკუთრებული თავმდაბლობა, ნიჭიერების უდიდესი გამოვლინებაა, ამიტომაც განსაკუთრებული მონდომებით დაიწყო ახალი სასწავლო წლისთვის აბიტურიენტთა მიმდებმა კომისიამ მუშაობა ქალაქ თერჯოლის სასწავლო ცენტრში.



საშური

„უმეცრებაა ჩვენი საშიში მტერი, უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია, განათლება, სწავლა, ცოდნა, აი ერთადერთი საშუალება რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“. და მაინც რა არის განათლება? – ამ კითხვაზე უამრავ პასუხს მოისმენთ, მეცნიერულს თუ უბრალო ენით გადმოცემულს. მე კი ყველაზე მეტად თვითონ ამ სიტყვებში დაფარული აზრი მომწონს – „ნათელი“ ანუ სულში ნათლის ჩადგომა. ჩემთვის ეს არის განათლება, განათლებული კი შეიძლება მას ვუნოდოთ,

ვინც მთელი თავის არსებით სიკეთეს ემსახურება. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ზუსტად ხვდებიან ერის სატიკვარს, იღწვიან და სანთლად ენთებიან, რომ მომავალ თაობებს გზა გაუწიონ, სწორედ ასეთი ადამიანის ბატონი გარი ჩაფიძის სულის ჩადგმით გაიხსნა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრი, რომელიც უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს, დავით აღმაშენებლის 5 ნომერში. ჩვენთან

სწავლება სამ სპეციალობაზე მიმდინარეობს: ბანკის ოპერატორის, დაცვა-პატრულირების და მედდის თანამშენის. სალექციო კურსის სინქრონულად, მედდის თანამშენის სპეციალობის სტუდენტები, პირველივე კურსიდან გადაინაწილებიან ქალაქის მთავარ საავადმყოფოში, სადაც თეორიულთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც იძენენ. დაგეგმილი გვაქვს მრავალი საინტერესო ღონისძიება, გვინდა მოვილოცოთ შიო-მღვიმის მონასტერი, მზადება გვაქვს სტუდენტთა მეცხრე სამეცნიერო კონფერენცი-

ისთვის. ცოდნა და განათლება იყო, არის და იქნება ყველაზე მყარი კაპიტალი, რომელიც მის მფლობელს უშრეტად შეუძლია გამოიყენოს. და ბოლოს, მიხარია დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ გარის ქალაქ ხაშურში ამ სასწავლო ცენტრის გახსნისთვის, რითიც მომცა საშუალება ვაკეთო ის საქმე, რაც ყველაზე მეტად მიყვარს“ - ამცნო რედაქციას საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ელენე ქიბრონაშვილმა.

ჯიათურა

დაუცინყარი დღე...

საქართველო ოდიდგანვე ცნობილია თავისი წმინდანებით და წმინდათა ადგილებით. ერთ-ერთი ქართველი წმინდანი არის ბერი გაბრიელი. რომელიც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა წმინდანად შეარაცხა.

არქიმანდრიტი გაბრიელი, ერისკაცობაში გოდერძი ვასილისძე ურგებაძე 7 წლის იყო, როდესაც ქრისტეს სახელი პირველად გაიგო, რამაც მისი ცხოვრება სრულიად შეცვალა. მალევე შეაგროვა ფული და შეიძინა სახარება. იმ დღიდან იგი ერთი აზრით და სურ-

“მოინაა ყამი ჩემი ამ სოფლიდან წასვლისა“, მან მთელი ღამე დღის 4 საათამდე უმძიმეს ტკივილებში გაატარა.

გაბრიელ ბერი, მისი ანდერძისამებრ ჭილოფში შეხვეული დაიკრძალა სამთავისის მონასტრის ეზოში. მის ცხედარს დასაფლავებისას მისი მოსიყვარულე ადამიანები ეხვეოდნენ გარშემო. ვერავინ გაიმეტა მინის მისაყრელად და ამიტომ მინას საფლავის ნაპირას ყრიდნენ. შემდეგ მინა თავად ჩამოიშალა, თითქოს კალთა გადააფარაო, გულში ჩაიხუტა და სულ ერთიანად დაფარა. საფლავზე წარწერილია სიტყვები, რომლითაც სრულდება მისი ანდერძი: „ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია“.

გაბრიელ ბერს მრავალჯერ უთქვამს ხალხისათვის, რომ ღმერთი თავად სიყვარულია. სიყვარულის გარეშე კი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებთ. სწორედ სიყვარულით, რწმენით გაჯერებული საზოგადოება დავინახეთ სამების ტაძარში მოსალოცად მოსულები, რათა პატივი მიეცათ მამა გაბრიელის სინმინდისათვის, მათ შორის ვიყავით ჩვენც-ჭიათურის სასწავლო ცენტრის ლექტორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ტაძარში შესვლისას ჩვენს გულებში დიდი სიხარული სუფევდა, ეს იყო სიტყვებით აღწერილი ბედნიერება, ტაძრიდან გამოსულები საოცარი მადლით მოსილნი ვიყავით, ასეთი სულის სიმშვიდე არასოდეს არსად გვიგვრძენია. ვფიქრობ, რომ ურთიერთობა ადამიანებს შორის, მოყვასის სიყვარული მეტად სათუთი და მოსაფრთხილებელია, სწორედ ეს ურთიერთობაა გზამკვლევი ჩვენი ცხოვრების გზაზე, სწორედ ამ დროს აისახება ჩვენი რელიგიურობა, სიყვარული, ადამიანობა, ის, თუ რამდენად ვართ ღირსი გვენოდოს მართლმადიდებელნი. ეს დღე მუდამ დაუცინყარი იქნება ყველა ჩვენთაგანისთვის.

ელისო მოღებაძე, მარიამ ლაბაძე

ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტები



ვილით განიმსჭვალა-ეცოცხლა მხოლოდ ქრისტესთვის.

12 წლის იყო, როდესაც ყველას უქადაგებდა: „ეკლესიაში იარეთ, ქრისტეს არ მოსცილდეთ და სულის ცხოვნება არ დაკარგოთ“.

გაბრიელ ბერმა, როდესაც საქმე სარწმუნოებას და ქრისტიანული საფუძვლის-ერთარს სამების დაგმაცს შეეხო, ღმერთისაგან მოცემული ნიჭი ცხადად გამოავლინა საღმრთო ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. უკანასკნელ დღეებში იგი მხოლოდ სიყვარულზე ქადაგებდა, ყველას ცრემლიანი თვალებით ეუბნებოდა: „გახსოვდეს, ღმერთი არის სიყვარული. რაც შეიძლება მეტი სიკეთე აკეთე, რათა თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. იყავით მდაბალნი, რამეთუ მდაბალთა მოსდის მადლი. გიყვარდეთ, რამეთუ უსიყვარულო ადამიანი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს“.

გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე გაბრიელ ბერს უთქვამს:

გორი

ამ სასწავლო წელს დაიწყო ფუნქციონირება, მაგრამ უკვე საკუთარი ხელნერის სასწავლო დაწესებულებად იქცა ქალაქ გორის სასწავლო ცენტრი, რომელსაც სათავეში ამ კუთხისათვის ცნობილი პიროვნება ანზორ ჩლაიძე ჩაუდგა.

სტუდენტებიც საკმაოდ ჰყავს, გვერდით ღირსეული პედაგოგები უდგას და თითოეულისგან უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას გრძნობს ბატონი ანზორი.

-სასწავლო პროცესი ჩვეულებრივ რიტმში, წარმატებულად მიმდინარეობს. ყველაფერს ვასწრებთ და ვაკეთებთ. ახლახანს ქალაქ გორში არაფორმალური განათლების სხვადასხვა ორგანიზაციები შეიკრიბნენ. ღონისძიებაში ჩვენი სტუდენტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ გვასახელეს: მარი ხუტაშვილმა, გიორგი ვართანოვმა, გიორგი ჯომარდაშვილმა, ნუგზარ გელაშვილმა..

მოვანყვეთ ხსოვნის საღამო ცხრა აპრილს დალუპულთა სკვერში მათ უკვდავსაყოფად.

მოგონებებმა ფიქრები ამიშალა, ღმერთო ასეთი დღეები აშორე ჩვენს ხალხს, გაამთლიანე სამშობლო ჩემი, აალორძინე და ააყვავე!

გორის მუნიციპალიტეტში, ნიმდის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულთა ინიციატივით, ქარსაცავი ზოლის აღდგენის ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩატარდა. აქციაში დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულთა ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საჯარო სკოლების, უნივერსიტეტების, საბავშვო ბაღების, ბიზნესსექტორის, სამინისტროების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის ჩვენმა, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გორის სასწავლო ცენტრმა, რომლის შედეგებიც ჭეშმარიტად სამაგალითო იყო.. – გვაცნობებს ქალაქ გორის სასწავლო ცენტრის მეთოდ. კაბინეტის გამგე პროფესორი თამილა კეკოშვილი.

ზესტაფონი

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ეგიდით წელს პირველ ნაკადს მიიღებს ქალაქ ზესტაფონის სასწავლო ცენტრი, რომელსაც განათლების ხარისხის მართვის უფროსი ხათუნა შუბითიძე ჩაუდგება სათავეში:

- ჩვენი მისწრაფება, ახალგაზრდების ადგილზე დამაგრების მიზნით რაიონებში შექმნილი სასწავლებლებია, რომელიც დაბალ გადასახადზე და ცოდნის უმაღლეს დონეზეა მორგებული, ამის ნათელი დასტური დღევანდელი დღე და ქალაქ ზესტაფონში გახსნილი ეს სასწავლებელია, რომელიც სამი წლის შემდეგ პირველ პროფესიულ კადრებს გამოუშვებს, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საზრუნველად! – აღნიშნა ქალაქ ზესტაფონის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის გახსნისას საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ, ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ელენე ქიბრონაშვილმა სასწავლო პროცესის სრულფასოვნებაზე ისაუბრა, ხოლო ქალაქ ზესტაფონის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ხათუნა შუბითიძე, შეეხო რა ცენტრის გახსნის აუცილებლობას, თქვა, რომ აღნიშნული სასწავლებელი ყოველთვის მონივნავთა ავანგარდში იქნება.



სვანოვანი

სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ ქალაქ საგარეჯოს სასწავლო ცენტრის სტუდენტები მათ ყოველი დღის გათენება უხარიათ, უხარიათ სასწავლებელში მოსვლა, სადაც მუდამ თბილი და მეგობრული გარემო სუფევს. პედაგოგები და სტუდენტი ახალგაზრდობა ერთმანეთს მუშტადაა შეკრული და უამრავ ლამაზ ღონისძიებას ატარებენ. მართლაც და შთამბეჭდავი იყო ხსოვნის საღამო, რომელიც ცნობილი მწერლის გოდერძი ჩოხელის ხსოვნას მიეძღვნა. არასოდეს დაავიწყდებათ ლიტერატურული მართონი-„საუკეთესო ბარათი“



სასწავლო ცენტრში შექმნილია ეკოკლუბი. უნდა დავრგოთ დიდი რაოდენობით იფნის ნერგები დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ხმამაღლა აცხადებენ სტუდენტები.

უამრავი საინტერესო პროექტი აქვთ მათ შორის დისკუსია თემაზე: „დიდი ფული რომ მქონდეს, რაში დავხარჯავდი“, მხოლოდ აქ, პროექტის წერის ხელოვნებასაც ასწავლიან

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ჩაატარა წარმატებული ღონისძიება პედაგოგმა ნელი ბროლაშვილმა. იგი გამოცდილი და ღირსეული პედაგოგია, არაერთი საინტერესო ღონისძიებისა და იდეის ავტორი, სამაგალითო პიროვნება, ერთგული მეგობარი. – მიყვარს, დედობრივი სიყვარულით მიყვარს ჩემი ყველა სტუდენტი და მეამაყება ჩემი თითოეული პედაგოგი, ხმამაღლა აცხადებს ქალაქ საგარეჯოს სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ქალბატონი თამარ ურდულაშვილი.

გურჯაანი



ქალაქ გურჯაანში, კახეთის გულში, ძალზე წარმატებულად ფუნქციონირებს საქართველო-უკრაინის სიცილურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ გურჯაანის სასწავლო ცენტრი, სადა, სადა და... დიდი ილიას სამშობლო-კუთხეში, კახეთში, კარგად იციან ცოდნის ფასი და მცოდნეთა დაფასება! ამის ნათელი დასტურია ის წარმატებები, რომელიც აღნიშნულ სასწავლო ცენტრს გააჩნია, სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა განათლების საქმეში შეტანილი დიდი წვლილით, სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ნინო ხაზარაძე საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარებისას, პირუთვნელად ამბობს, რომ წარმატებათა საიდუმლო მაღალი დისციპლინის ფორმატშია! დიახ, დისციპლინის მოსუსტება, ყველაზე მძიმე ტვირთად, სასწავლო დაწესებულებებს აწევს, ამიტომ ამ საკითხის გაჯანსაღებით უნდა დავიწყოთ შემოქმედებითი აღმასვლა მეცნიერული სიმალეებისაკენ, რამეთუ „განათლება საზოგადოებას შეიარაღებულ არმიას უკეთ იცავს!“

დირძველი, არაჩვეულებრივი წარსულის მქონე, საუნივერსიტეტო ქალაქ თელავში, უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ფუნქციონირებს საქართველო-უკრაინის სიცილურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ თელავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ქალბატონ მაია მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, უნდა აღინიშნოს ადგილობრივ პედაგოგთა უდიდესი სწრაფვა სასწავლო პროცესის სრულფასოვნებისათვის, ისინი დღენიადაგ იღწვიან იმისათვის, რომ სტუდენტებმა მცირე, იოტისოდენა საკითხებიც კი მეცნიერულ დონეზე აყვანილი განიხილონ, სტუდენტი-ახალგაზრდობაც თავის მხრივ მაღალი სასწავლო პათოსითაა განმსჭვალული, რომელიც უფლის წყალობით დოდ მომავალს ჰპირდება თელავის სასწავლო ცენტრს, სადაც ამ დღეებში გუბერნატორის დონეზე უნდა გადაწყდეს საკითხი ქალაქ თელავის ცენტრალურ ადგილზე მინის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, სასწავლო კორპუსის აშენებისთვის.

თელავი

სამი წელია, არსებობს ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით შექმნილი არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი ქალაქ ახმეტაში. რომელსაც ნიჭიერი და ენერგიული ქალბატონი მარინა ხაზარაძე ხელმძღვანელობს, რომელიც გაზეთ „ჩემი საქართველო“ წარმომადგენელთან ძალზე გულახდილია: -ჩემს გვერდით ღირსეული პედაგოგები დგანან ქალბატონები: ნინო ხოხობაშვილი, თამარ მურველაშვილი, მარინე ლაგაზიძე, ეკატერინე ბუიშვილი, ბატონი გოჩა ხარიტონაშვილი. მათთან ერთად სასწავლო პროცესის წარმართვა მართლაც მიაღწილდება.



სწავლა მაღალ დონეზე მიმდინარეობს, უხარიათ სტუდენტებს ლექციებზე მოსვლა. ახლა განსაკუთრებული სიხალისეა სასწავლო ცენტრში, სტუდენტთა მეცხრე სამეცნიერო კონფერენციისთვის ემზადებიან. მათთან ერთად სამეცნიერო მუშაობაში პედაგოგებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი რომელთა მიზანია მიწოდებული ცოდნა სტუდენტებმა სრულყოფილად წარმოაჩინონ და წარმატებას მიაღწიონ.

ქარელი

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ცოდნის გაღრმავებას ეთმობა, რამეთუ აქ კარგად ესმით, რომ განათლება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სავალი გზების ყველაზე საიმედო გასაღებია, მიზანიც ისაა, ცოდნა და განათლება მივცეთ მათ, ვინც არჩევანს ჩვენს სასწავლო ცენტრებზე შეაჩერებს, არადა ეს არჩევანი, მართლაც რომ დიდია! დიახ კიდევ ერთი სასწავლო ცენტრი მიიღებს აბიტურიენტებს ახალი ასანავლო წლიდან, ამჯერად უკვე ქარელში, როგორც სარედაქციო კოლეგასთან საუბარში ქალაქ ქარელის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნონა შათირიშვილმა ბრძანა, აღნიშნული სასწავლებელი აქ ადგილობრივ მოსახლეობისაგან სერიოზული განაცხადის შედეგად შეიქმნა და მისი წარმატებაც გარდაუვალია.

ოჯოციები


საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრი ახალბედა არაა, მან ურთიერთთანამშრომლობის წლებით უკვე დაიმკვიდრა საკუთარი ხელწერა ჩვენი ინსტიტუტის არც თუ მცირერიცხოვან სასწავლო ცენტრებს შორის, ეს კი ყველაზე მეტად ერთი კაცის დამსახურებაა, იმ ახალგაზრდა კაცის, რომელიც ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრში განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსია, დიახ ბატონი ოთარ ხაზარაძე, თუმცა, თავის მუხლჩაუხრელ შრომასა და საქმიანობაზე ვერაფერს ათქმევინებ: -„დამსახურებები ჩვენი თითოეული პედაგოგის წყალობითა და სტუდენტთა მონდომებითა“ აქ სასწავლო პროცესი, რომ მაღალ დონეზეა, ამას საგამოცდო სესიების მაჩვენებლებიც ადასტურებს, სტუდენტთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება რომ სპეციალობათა მიხედვით, ჯგუფის კურატორთა სამუშაო გეგმით ხდება ესეც თვალშისაცემია, ქალაქ ლაგოდეხში სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების პარალელურად მაღალ დონეზეა გადამზადების კურსების მუშაობაც, რაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ინტერესსა და სიხარულს იწვევს.

ახმეტა

სამი წელია, არსებობს ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით შექმნილი არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი ქალაქ ახმეტაში. რომელსაც ნიჭიერი და ენერგიული ქალბატონი მარინა ხაზარაძე ხელმძღვანელობს, რომელიც გაზეთ „ჩემი საქართველო“ წარმომადგენელთან ძალზე გულახდილია: -ჩემს გვერდით ღირსეული პედაგოგები დგანან ქალბატონები: ნინო ხოხობაშვილი, თამარ მურველაშვილი, მარინე ლაგაზიძე, ეკატერინე ბუიშვილი, ბატონი გოჩა ხარიტონაშვილი. მათთან ერთად სასწავლო პროცესის წარმართვა მართლაც მიაღწილდება.

სწავლა მაღალ დონეზე მიმდინარეობს, უხარიათ სტუდენტებს ლექციებზე მოსვლა. ახლა განსაკუთრებული სიხალისეა სასწავლო ცენტრში, სტუდენტთა მეცხრე სამეცნიერო კონფერენციისთვის ემზადებიან. მათთან ერთად სამეცნიერო მუშაობაში პედაგოგებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი რომელთა მიზანია მიწოდებული ცოდნა სტუდენტებმა სრულყოფილად წარმოაჩინონ და წარმატებას მიაღწიონ.

სამხრეთ-დასავლეთის სოციალურ ურთიერთობათა
ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების
სასწავლო ცენტრები



წარმოქმნა, პროვიზორები და აზრს, ქარტილურებლობა!

**„EUCEN“-ის სერთიფიკირებული საბანკანო-საბანკო
 ევრო აკრედიტაციის მფლობელი
 საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა
 ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული ბანკების
 სასწავლო ცენტრები**

აქსელდატს ვილდატს **IX და XII კლასდავთავრებუდთათვის**

**ქუც აქუენი
 სუოდენცი
 ვაზხდეში**

- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
- ✓ ბიდი (ტუკინი)
- ✓ ღუხუა—პატრულირება
- ✓ კრიმინალისტი
- ✓ უანის ოპერატორი
- ✓ უაბა—უალის ზღუბრდელი
- ✓ ექთნის თანუბედე
- ✓ ფარმაცევტის თანუბედე
- ✓ კვილის ტექნიკოსი
- ✓ ვედეკინსკი

სწავლება საინციანი!
 სასწავლო წელი ყველა სპეციალობაზე ორსემესტრინია,
ბადანახალი - სემესტრუნი 250 ლარი!
 კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის
 ბავლის დამადანტურებელ საინცივან
 (ქართულ-უკრაინულ-ინგლისურ)
 ოქროსბაჭდინან სერთიფიკატს!

ქ. თბილისის სასწავლო ცენტრი,
 თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7;
 (M. ვარკეთილთან).
 ტელ: (032) 227-89-00; 227-89-01;
 227-89-02

ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრი,
 ქ. რუსთავი, შვეჩენკოს ქუჩა №5
 (აკადემიური ქალაქი) კორპუსი 7.
 ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00;
 22-74-00; 22-80-80; 22-77-77;
 25-37-00; 25-39-00; 27-94-00,
 27-96-00; 28-14-00.

ქ. ოზურგეთის სასწავლო ცენტრი
 ქ. ოზურგეთი - გურიის ქუჩა №5
 ტელ: 598 00-09-31; 551-31-36-69

ქ. ქუთაისის სასწავლო ცენტრი
 ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქუჩა, მეორე
 შესახვევი №6
 ტელ: 593-36-30-84; 568-59-59-48

ქ. ამბროლაურის სასწავლო ცენტრი
 ქ. ამბროლაური - ვ. კობახიძის ქ. №2
 ტელ: 551-59-30-00

ქ. თერჯოლის სასწავლო ცენტრი
 ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
 ტელ: 568 40-08-54; 577-65-35-28

ქ. ზესტაფონის სასწავლო ცენტრი
 ქ. ზესტაფონი, გ. ჭანტურიას №4
 ტელ: 5-58-74-62-22

ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრი
 ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
 ტელ: 551-73-04-16; 571-50-84-60

ქ. ახალციხის სასწავლო ცენტრი
 ქ. ახალციხე - რუსთაველის ქ. №57-ა
 ტელ: 591-18-00-28; 568-86-26-74.

ქ. ხაშურის სასწავლო ცენტრი
 ქ. ხაშური, დ. აღმაშენებლის №5
 ტელ: 558 26-32-38; 551-20-12-25

ქ. გორის სასწავლო ცენტრი
 ქ. გორი, სტალინის 14;
 ტელ: 599-53-05-14;
 599-77-73-23
 551-53-03-35

ქ. საგარეჯოს სასწავლო ცენტრი
 ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქუჩა №6
 ტელ: 599-85-12-06

ქ. გურჯაანის სასწავლო ცენტრი
 ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №6
 ტელ: 593-54-17-81

ქ. ლაგოდეხის სასწავლო ცენტრი
 ქ. ლაგოდეხი - კუდიგორის ქუჩა №4
 ტელ: 598 69-19-09

ქ. თელავის სასწავლო ცენტრი
 ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზ. 98
 ტელ: 558-99-97-09

ქ. ანმეტის სასწავლო ცენტრი
 ქ. ანმეტა, რუსთაველის ქუჩა №59
 ტელ: 598-50-38-25